


140  
1939 /2

ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ  
ՅՈՅՈՐԱՐՈՒՅՈՒՆ

# Յօշեցի



1939

19

# კიბენჯრი

საქ. ალექ ცენტრალური კომიტეტისა და  
საქ. განსახალის მისამართი: თბილისი, გრიბიცელოვანის ქ. № 34, ტელ. 3—02—61.

სექტემბერი 1939 წ., № 9

გამომცემლობა „კომუნისტი“, რედაქციის მისამართი: თბილისი, გრიბიცელოვანის ქ. № 34, ტელ. 3—02—61.


## მინახსა

83.

1. ალიო გაზაფილი, — ჩვენი ქვეყნის ქალვაზები (ლექსი) . . . . .	1
2. გელა გალაში, — პენრის კლამი. (შემოკლებული თარგმანი ელ. ისა)	2
3. იოსებ ნოველისილი, — დაბრუნება (ლექსი) . . . . .	6
4. ქ. თოთიბაძე, — ბრძოლა. . . . .	7
5. თურქეთ ჯანიაზილი, — თქმულება ალაზნის ველზე . . . . .	9
6. სეჩენი მიხალიშვილი, — სვეტლანა (ლექსი, თარგმანი ალ. შენგელიასი) . . . . .	12
7. ლ. გელიშვილი-ბეგი, — „დავით სასუნელი“ . . . . .	13
8. გიორგი ერისთავი, . . . . .	14
9. ნიკოლოზ ჭავი, — პომპეა . . . . .	16
10. კროსვორდი, . . . . .	გარეკანის მე-4 გვ.

უნინალის გაფორმება და ყდის მზატვრობა  
ეკუთვნის მზატვ. ი. ქოქიაშვილს.

ჩუუნი ქუუყნის  
ქართულები




ხან მიდამოს ედებიან  
განახლების გრიგალებად,  
ხან ბალებში ენთებიან,  
გიზგიზებენ იქ ალებად,  
დიდ სამშობლოს ეზრდებიან  
გმირებად და გმირ ქალებად.


სადაც შრომის კერებია,  
ანთებულა ცა ალმურით,  
ქარხნებს აულერებიათ  
ყელი, როგორც სალამური,—  
შრომა აუმლერებიათ  
საგმირო და საამური!

ხან ჰაერში დაქროლავენ,  
არ აშინებთ ქარ-წვიმები,  
მტრებს ტყვიებით ჩაჭქოლავენ,  
ძირს დასცემენ აწივლებით,  
სდევნის ქორებს, შავ ყორანებს  
ჭანგმაგარი არწივები!

სადაც საზღრის პირებია,  
დფანან გულმკერდგაკაჟებით,  
ხმლებიც აულირებიათ,  
კაშკაშებენ ქარქაშები.  
სტალინური გმირებია  
ჩვენი ქვეყნის ქალ-გაჟები!



3528



საქართველოს სამართლებრივი მინისტრის  
სამინისტრო  
სამინისტრო

ქარა ქარაძე

# ჭერიბის ჩლუადი



ჭერიბის აგებს თავშესაფარს 1)

საღამოს, როდესაც ჭერიბი შინ დაბრუნდა, კარი. დაკეტილი დახვდა. დედა დღიურ სამუშაოზე წასულიყო. ჭერიბმა შეალო კარი და შევიდა ბნელ ოთხში. ის შიშმა აიტანა. ჭერიბი სხვა დროსაც დარჩენილა სახლში მარტოდ, მაგრამ არ შეზინებია. ახლა კი, როდესაც აღარ ჰყავს მამა... ვთქვათ, დედაც აღარ დაბრუნდეს!

ჭერიბმა სინათლე მაინც არ აანთო. მომჭირნეობაა საჭირო. ქუჩიდან საქმარისი სინათლე შემოდის. ის დაჯდა ვოლფისთან ერთად სკამზე. ქვევიდან ისმოდა ტრამვაების ზარის წერიალი და აფტომბილების საყიდების ხმა. ოთახის ჩამობნელებულ ქედლებზე დროდადრო გაიერვებდნენ სინათლისა და ჩრდილების ლაქები. ჭერიბი მოეხვია ვოლფის ყელზე. უცბათ მისი პატარა გული შეტოკდა. შას გაახსენდა მეტად მნიშვნელოვანი რამ, ლოტარის სიტყვები: „ბევრი უკვე გამოიქცენ საპყრობილიდან, მამაშენიც გამოიქცევა“.

„როდისმე, გეიან ღამით, ის წყნარად დააკაკუნებს კარზე,—ფიქრობდა ჭერიბი.—რომ ვერ გავიგოთ? არა, არა, ვოლფის მახვილი სმენა აქვს, ის გაიგებს და, ჩვენ კიდევაც რომ გვეძინოს, გაგვაღლიერებს“.

— ვოლფი, — უთხრა ჭერიბმა ძალლს, — შენ ფხიზლად უნდა იყო. თუ ჩვენ არ შემოეუშვებთ მამას, სად უნდა წავიდეს შუალამისას? თუ გამოიქცა საპყრობილიდან, ხომ გამოედევნება პოლიცია, კარგად უნდა დავმალოთ მამა, როდესაც დაბრუნდება.

მაგრამ სად? საჭოლის ქვეშ. მას იმ წამსვე იძოვიან. კარადაში? საქმარისი იქნება მხოლოდ კარის გამოლება. ამ საქანში არ იყო სხვა ადგილი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მამის ღამალება. რომ ამაღლამვე დაბრუნდეს? იქნებ ის უკვე მორბის ქუჩებში და საცაა დააკაკუნებს კარზე?

ჭერიბი ისე აღელდა, რომ სკამზე ვეღარ გაჩერდა, ის მიუახლოვდა ფანჯარას და გადაიხედა ქვეფით, იქ რეკტენ ტრამვაის განვები, ღრიალებდნენ აუტომობილების საყიდები. მოტოციკლეტებით ორმა პოლიციელმა გაიქროლა. იქნებ ესენი მამას მისდევენ?

ჭერიბმა მოუსვენარი გამომეტყველებით შეავლო თვალი თოახს. „უნდა გამოვნახოთ მამისათვის თავშესაფარი, აუცილებლად!“ მან ერთხელ კიდევ

1) დასასრული. ის. „პიონერი“, № 8

დაათვალიერა ყოველი ავეჯი. კარადა? კარადაზე კიდევ საჭიროა ფიქრი. ოვით კარადაში ღამალება არ შეიძლება, იქ მაშინვე შენიშნავენ. კარადის უკანაც არ არის ადგილი. ის მჭიდროდ არის კედელზე მიღმული. მაგრამ... მაგრამ კარადის უკანა ფიცრები შეირხა, წებო ავარდნილა. რა იქნება, რომ კარადის უკანა კედლის ფიცრები კარადის /შიგნით შევწიო? მაშინ კედლისა და კარადას შუა ცარიელი ადგილი დარჩება, იქ შეიძლება მოელი ადამიანი მოთავსდეს. კარადა ორ ნაწილად იქნება გაყოფილი: წინა ნაწილში—ტანისამოსი, უკანა ნაწილში ადამიანი, გარედან კი სრულიად არაფერი გამოჩენდება“.

ჭერიბმა მიირბინა კარადასთან, მას მაშინვე უნდოდა თავისი აზრის განხორციელება.

ბატარა ჭერიბისათვის ძალიან ძნელი იყო კარადის გამოწევა, მაგრამ მან მოიკრიბა მთელი თავისი ძალლონები. მამის მოსვლა ხომ ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი, როგორც იყო, გამოსწია კარადა, ჩადგა კედელსა და კარადას შუა და დაიწყო ფიცრებზე ფრთხილად მიწოლა, ბოლოს ფიცრები საკმარის ღრმად შეიწია. ჭერიბი სიხარულით გადაეხვია ვოლფის და დაუწყო კოცნა, შემდეგ ჩასვა ის თავშესაფარში და კარგად მისწია კედლისაკენ. საუცხოოა. ვოლფი გაქრა.

მაგრამ ვოლფის ეს თავშესაფარი არ მოეწონა. დაიწყო წერტუნი, მერე კი შესაბრალისი ყმუილი, და აი დედაც დაბრუნდა სამუშაოდან.

— რა არის ეს, — იყითხა მან. — რატომ ტირის ვოლფი, ან სად არის ის?

ის გაცვიფრებული ათვალიერებდა ოთახს.

— აბა, მოძებნე! — შესძახა ჭერიბმა. მისი სახე გაბრტყინებულიყო სიამაყის გრძნობით. — იძოვე ვოლფი!

ფრაუ კლამმა ჯერ კარადა გააღო, რადგან ხმა იქიდან მოდიოდა, მაგრამ ძალლი იქ არ აღმოჩნდა. მას უნდოდა კარადის უკან შეეხედა, მაგრამ ეს ხომ შეუძლებელი იყო, რადგან კარადა მჭიდროდ იყო მიღმული კედელთან.

— ეს რა ჩაგიდენიათ? — გაკვირვებული კითხულობდა ის. — სად არის ძალლი?

ჭერიბი იცინდა, ტაშს უკრავდა.

— აბა, გამოსწიე კარადა! — შესძახა მან.

როდესაც დედამ გამოსწია კარადა და გახარებული ვოლფი გამოხტა, ჭერიბი თვითონ დაღვა საიდუმლო თავშესაფარში და თქვა:



— აქ დაიმალება შიმა, როდესაც საპატიმროდან გამოიქცევა და შინ დაბრუნდება.

დედა შემოხევია ჰენრიხს და დაუწყო კოცნა.

ლამით ჰენრიხი ხშირად იღვიძებდა. მას მუდამ ფეხის ხმა ეჩვენებოდა. იქნებ მამა?

მაგრამ ვოლფის წყნარად ეძინა...

## ჰერნიხი და ლტოლვილი

შეორე დღეს ჰენრიხი წამოხტა ლოგინიდან და ტანჩიუმელი მივარდა თავშესაფარს. მას უნდოდა ენახა, კველაფერი რიგზეა თუ არა.

ვოლფი კუთხეში მიმალულიყო. ეშინოდა კიდევ არ შეეგდოთ კარადის უკან.

დედას დილით დაემზადებინა საჭმელი და მთელი დღით სამუშაოზე წასულიყო.

ჰენრიხი ეზოში აღარ წავიდა, ის მხოლოდ იმაზე ფაქტობდა, როგორ გაეუმჯობესებინა თავშესაფარი.

უცბათ ქუჩიდან ყვირილი შემოესმა. ვოლფიმ დაიღრინა და ეცა ფანჯარას. ჰენრიხისაც სურდა დაენახა, რა მოხდა იქ.

ქუჩაში უმუშევართა გრძელი რიგი იდგა. პირდაპირ იმყოფებოდა შრომის ბირეა, საიდანაც მათ ურიგდებოდათ დახმარება. ჰენრიხი ხშირად უყურებდა მათ ფანჯრიდან. მაგრამ ასეთი ყვირილი მას არასოდეს არ გაეგო, იქ, როგორც ჩანდა, რაღაც მოხდა.

ჰენრიხმა დაინახა, რომ უმუშევრები მუშტებს იქნებდნენ. დაინახა აგრეთვე ორი პოლიციელი, რომლებიც მიიწევდნენ უმუშევრათა მწერივებში. როგორც ჩანს, ვიღაც უნდათ დააპატიმრონ, მაგრამ ვერ ახერხებენ, რადგან უმუშევრები მაღლავენ მას. პოლიციელები უსტევნენ, იქნევენ რეზინის ჯოხებს ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ.

— სამუშაო! თავისუფლება! — ისმის ამოძახილი საერთო ხმაურობაში.

— რრრრ! — დაიგრიალა პოლიციელთა უზარმაზარმა ავტომობილმა. ელვისებური სისწრაფით მოქრის ის უმუშევრებისაკენ. თვალის დახამხმებაში გადომხტა ავტომობილიდან 20 პოლიციელი. 20 რეზინის ჯოხი ტრიალებს ჰაერში და სტეგნით ეშვება უმუშევართა თავებზე.

ვოლფი ფანჯარაზე ფეხმიბჯენილი ყეფს და კრეჭს კბილებს. ჰენრიხი მღელვარებისაგან მუშტებს ჩარჩოზე ურტყამს. უმუშევრები უიარალონი არიან. მათ არ შეუძლიათ თავი დაიცვან. ისინი გარბიან. ბევრი გარბიან ჭიშკრებისაკენ, მაგრამ ჭიშკრები მათ წინ იკეტება. მათ არ უშვებენ. საღ უნდა გაიქცენ?

უცბათ ჰენრიხმა შენიშნა ქერათმიანი ვაჟი, იგი გამორბის ქუჩის მეორე მხრიდან ირიბად, პირდაპირ მათი ჭიშკრისაკენ. ორი პოლიციელი მოსდევს მას.

ჰენრიხი მოშორდა ფანჯარას და კარისაკენ გზურული ექანა. საით გაიქცევა ეს ქერათმიანი ხალგაზრდა? იმოთ ეზოში არ არის არც ერთი ისეთი აღვილი, საღაც შეიძლებოდეს დამალვა. ის, აღბათ, კიბეზე ამოირბენს, იქნებ უკვე ამოდის...

ჰენრიხის უკბათ შემოესმა მორბენალი ადამიანის ფეხის ხმა. ის მესამე სართულზე შედგა.

— შემიშეით ერთი წუთით, — გაისმა ხმა. — ისინი ხომ მომკლავენ ცემით, თუ დამიჭირეს!

ხრინწიანმა ხმამ უპასუხა:

— ძალიან მეტრალებით, მაგრამ ჩევნ რა შეგვიძლია... — და გაისმა კარის მიჯახუნება.

ლტოლვილის ფეხის ხმა ახლოვდებოდა. მეოთხე სართულზე ფეხის ხმა ისევ შეწყდა. გაისმა კარის კაეუნი. კარი არ იღებოდა, ქვევით, პირველ სართულზე, უკვე ისმოდა პოლიციელების ლაპარაკი:


— საზიზლარი! — ამ კიბეზე აირბენდა. არა უშავს, დავიჭერთ!

და პოლიციელების მძიმე ფეხსაცმელები აბრახუნდა კიბის საფეხურებზე:

ჰენრიხის აღარ შეეძლო მეტის მოთმენა. მან გაიღო კარი. ვოლფი კუდის იქნება. ახლგაზრდამ უკვე მოირბინა კართან. ის 16-17 წლის იქნებოდა. ოფლში გაწუწულიყო. ჰენრიხის დანახვისთანავე მან გაიღიმა და უთხრა: „სალამი, პატარავ! თქვენთან სტუმრად მოვედი“.

ჰენრიხი მიხვდა, რომ ახალგაზრდა განგება ამბობდა ასე. მან ხმაამოულებლივ შეუშვა ლტოლვილი სახლში და ჩაეტა კარი. მაგრამ უკვე პოლიციელებმაც ამოაღწიეს:

— ჩუ, — თქვა ახალგაზრდამ საჩვენებელი თითის ტუჩებთან მიტანით და გაირინდა.



კარის მეორე მხრიდან ისმოდა პოლიციელების  
ქშიხვა და ხველა.

— აბა სად უნდა წასულიყო? — იკითხა ერთმა  
მათგანმა.

— აქ სხვენია, — თქვა მეორემ.

— მაგრამ ესეც რომ დაკეტილია... საძაგელი, ალ-  
ბათ, რომელიმე ბინაში დაიმაღლა.

ჰენრიხმა და ლტოლვილმა ერთმანეთს გადახე-  
დეს.

— მესამე სართულიდან კარის ჯახუნი მოისმა,  
როცა ჩვენ ჯერ კიდევ ქვევით ვიყავით.

— აბა, ჩემო მეგობარო, — ლიმილით უთხრა ახალ-  
გაზრდამ, — ჯერჯერობით საქმე კარგად წაგვივიდა,  
მაგრამ ეს დროებით. ისინი დაათვალიერებენ ყვე-  
ლა ბინას და, რა თქმა უნდა, ისევაქ დაბრუნდე-  
ბიან. აქედან სახურავზე ასვლა არ შეიძლება? —  
ჰენრიხმა პასუხის გაცემა ვერც კი მოასწრო, რომ  
ახალგაზრდამ თვითონვე დაათვალიერა ყველაფერი.

— არაფერი გამოვა. დასამალავი ადგილიც არსად  
გაქვთ, მე უკვე ვხედავ. უნდა დავჯდე და წყნარად  
ველოდო პოლიციელების მოსვლას. თუ ისინი რა-  
მეს შეგეკითხებიან, უთხარი, რომ შენ არ გინდოდა  
ჩემი შემოშვება, გესმის, რომ მე ძალით შემოვიჭრი.

ჰენრიხი ისევ უსიტყვილ იდგა. ის ლუმილით  
შესკეროდა ახალგაზრდას. მას ქერა ხუჭუჭი თმე-  
ბი ჰქონდა შუბლზე ჩამოყრილი.

ჰენრიხის გული შეეკუმშა. ამ ოთახში ხომ სა-  
უცხოოდ შეიძლება დამალვა. მაგრამ საიდუმლო თავ-  
შესაფარი მან მამისათვის მოაწყო... თუ თავშესა-  
ფარში ამ უცხო ახალგაზრდას შეუშვებს, მაშინ მა-  
მისათვის ძლიერსად ექნება დასამალავი ადგილი. აქს  
თუ არა უფლება დაუთმოს სხვას ეს თავშესაფარი?  
ჰენრიხი დუმდა. ვოლფის კი თავისი წინა ფეხები  
ახალგაზრდის მკერდზე მიეყრდნო, თითქოს მისი  
ძველი ნაცნობი იყო.

ახალგაზრდა თავზე ხელს უსგამდა ძალლს.

— ვინ არის შენი მამა, ბიჭიკო?

— უმუშევარი, — ძალიან ჩუმად მიუგო მან.

— კი, მაგრამ... ახლა სად არის?

ჰენრიხი გაწითლდა და უხმოდ შებრუნდა.


— რა... რატომ გაწითლდი ასე? რამე შეემთხვა  
მამას? იქნებ ისიც პოლიციამ შეაბყრო?

ჰენრიხის თვალები ცრემლებით აეგსო.

ახალგაზრდამ მიიჩიდა ის თავისაკენ დაბლერსი  
დაუწყო.

— ასწიე თავი მაღლა, პატარავ, — უთხრა მან ალ-  
რსიანი ხმეთ. — შენ უნდა ამაყობდე შენი მამით. ბერ  
ჩვენგანს ემართება ეს ცუდი საქმე. მაგრამ ჩვენ  
მაინც ვერ მოგესპობენ. აი, როგორც შენ დამებმა-  
რე, ისე დახმარება ვინმე შენს მამასაც...

ამ სიტყვებმა თითქოს უჩხვლიტესო ჰენრიხს.  
როგორც ის დაეხმარა ახალგაზრდას, ისევე და-  
ეხმარება მის მამასაც ვინმე, მაგრამ მას ხომ ჯერ  
თითქმის არ გაუწევია მისთვის დახმარება, მან არ  
აჩვენა მას საიდუმლო თავშესაფარი და, მაშასადა-  
მე, პოლიცია იპოვის მას და დაბატომრებს.



— ამ ოთახში შეიძლება დამალვა, — უთხრა ჰენ-  
რიხმა.

— არა მგონია, — მწუხარე ლიმილით გააქნია თა-  
ვი ახალგაზრდამ.

— მე მოვაწყვე მყუდრო თავშესაფარი ჩემი მა-  
მისათვის. აი იქ... მომებმარეთ კარალის გამოწევა-  
ში.

— აი ეს კარგია! — წამოიძახა ახალგაზრდამ, რო-  
გორც კი დაინახა საიდუმლო თავშესაფარი. — შენ  
საუკეთესო ბიჭი ხარ. ახლა კი სწრაფად! სანამ  
შენს მამას დასჭირდებოდეს ეს ადგილი, მანამდე  
ჩემი კვალიც ძლიერსად იქნება. ჩეარა მისწიე მჭიდ-  
როდ კარალ კედლისაკენ. აქ მეზობლად ვინდა ცხო-  
ვრობს?

— არავინ. იქ სხვენია.

— აპა! კედლიც თხელია. აბა ცოტა მისწიე კარა-  
ლა. ასე... დიდი მაღლობა, პატარავ.

ჰენრიხის ძალა გამოელია, მისთვის ძალიან ძნე-  
ლი იყო კარალის მიწევა.

— მისმინე, ბიჭიკო, — დაილაპარაკა ახალგაზრდამ  
კარალიდან, — უკეთესი იქნება, თუ შენ დაუყოვნე-  
ბლივ წახვალ და ოთახში არავინ დარჩება. მაშინ  
შეგეძლება თქვა, რომ სახლში არ იყავი და რომ  
არც არავის შეშვება შეგეძლო.

— კარგი, — უთხრა ჰენრიხმა. — მხოლოდ ვოლფის  
აქვე დავტოვებ.

— გეთაყვა, — გაისმა კარალიდან, — რა გვარი ხარ?

— ჰენრიხ ქლამი.

— შენ ჭკვიანი ბიჭი ხარ. მე სიამოვნებით ვისა-  
უბრებდი შენთან. ხვალ ათის ნახევრამდე მოტი მი-  
უნენგზტრასის ქუჩაზე 21 ნომერში. იქ მოგელოდე-  
ბი. მხოლოდ არავის უთხრა. ახლა კი გაიქცი.

— კარგი, — უჩასუხა ჰენრიხმა, მერე მოჰყიდა ძალას საყელურს ხელი და უთხრა: „ვოლფი, ადგილზე!“

ვოლფი მაშინვე დაწვა თავის ხალიჩზე კარადის გვერდით, თავი წინა თათების შუა დადო და შეხედა ჰენრიხს ერთგული, გაბრწყინებული თვალებით.

— ყურადღება! ვოლფი, არავის მისცე ნება, რომ კარადა გამოსწიოს, — დააგალა მას ჰენრიხმა.

ვოლფიმ შებლი შეიკრა. ჩანდა, რომ ის მიხვდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი დავალება მისცა ჰენრიხმა.

ჰენრიხი სწრაფად გამოვიდა ბინიდან, დაკეტა კარი და გასაღები შეინახა. ის არავის დაუნახავს, ისე ჩავიდა კბეჭე. უკვე ქვევით იყო, როდესაც შემოესმა, როგორ გამოვიდნენ პოლიციელები რომელილაც ბინიდან და როგორ თქვა ხრინწიანმა ხმამ:

— არა, ჩემთან არ არის.

პოლიციელებმა დააკაუჭნეს კლამების ბინის კარზე და შეცყვირეს;

— გააღთ, პოლიცია! — მაგრამ რადგანაც პასუხი ვერ მიიღეს, თვითონვე გააღეს თავისი გასაღებით და შევიდნენ ოთახში.

— არავინ არის! — გაბრაზებით წამოიძახა ერთერთმა მაფგანმა, ჰენრიხმა სიხარულით გაიღიმა და გაემართა ჭიშკრისაკენ. აქ აბირებდა მოცდას, სანამ პოლიციელები წავიდოდნენ, მერე კი დაბრუნდებოდა შინ.

მაგრამ პოლიციელები არ მიდიოდნენ. მოხდა ისეთი რამ, რასაც ჰენრიხი არ ელოდებოდა. ჰენრის კლამის ცხოვრებაში მეორე დიდი უბედურება მოხდა.

## ვოლფის გაირული სიკვდილი

პოლიციელები ის იყო წასელას პირებდნენ, რომ უცბათ გაიღო რომელილაც კარი, საიდანაც მოხუცებულმა დედაკაცმა გამოყო ცხვირი და ჩაიჩიტია:

— არ წახვიდეთ. ის ოთახშია. მე თვითონ დავინახე იქ რომ შევიდა. უკეთ მოძებნეთ. — და ისევ სწრაფად მიაჯახუნა კარი. პოლიციელებმა ერთმანეთს გადახედეს.

— წავიდეთ, — ბოროტად სთქვა პოლიციელმა. — ახლა ის ჩენ ხელშია. — და ისინი მესამედ არა-ხუნდნენ კიბეჭე.

როდესაც პოლიციელები პირველად შევიდნენ ოთახში ვოლფიმ კბილები დაკრიჭა და დაიღრინა, მაგრამ ადგილიდან კი არ დაძრულა. მას ახსოვდა ჰენრიხის მკაცრი ბრძანება. მაშინაც კი, როდესაც პოლიციელებმა კარადაში შეიხედეს მხოლოდ გაჯარებით შეცყეფა, მაგრამ ხალიჩს კი არ შორდებოდა. როდესაც პოლიციელები მეორედ მიკვიდნენ კლამების ოთახში ვოლფი ისევ იწევა ხალიჩა და მხოლოდ ლრინავდა და კბილებს კრეჭდა.

ის თვალყურს ადევნებდა ორ ტაუჩატიუებელ სტერმარს.

— ეშმაქმა წაიღოს, სად უნდა დამალულიყო ის საძაფელი? — იკითხა ერთმა. — ერთად ერთი საშუალება, ეს მხოლოდ კარადა, მაგრამ ის ხომ უკვე ვნახეთ.

— კედლებიც დავათვალიეროთ, იქნებ სადმე საიდუმლო გასასვლელია. — და დაიწყეს პოლიციელებმა კედლებზე კაკუნი და თვალიერება. ვოლფი ლრენით ადევნებდა თვალყურს ის რაღაც ცუდს მოელოდა. მისი კუნთები კანკალებდნენ.

პოლიციელებმა დაამთავრეს ერთი კედლის გასინჯვა, ოთახი ხომ ძალიან პატარა იყო. მოლოს მივიდნენ იმ კედლთან, სადაც ტანისამოსის კარადა იდგა.

— გამოსწიე კარადა, — სთქვა ერთმა. — კარადის უკანაც უნდა გაესინჯოთ კედლი.

მეორე გაემართა კარადისაკენ. მას ჯერ არცკიდებრა კარადა ადგილიდან, ის მხოლოდ პირებდა... რომ უცბათ... მოკლე ბოროტი ლრენა... ერთი ნახტომით ვოლფი მის მკერდზე გაჩნდა და წავლო კბილები ყელში.

პოლიციელმა იყვირა და ზურგით იატაკზე გაიშხლართა. მეორე პოლიციელმა ხელი წასელო ვოლფის საყელურს და მოაგლიჯა მეერდიდან, მაგრამ ამ დროს ვოლფი მიგარდა მის ხელს ისე, რომ სისხლმა გადმოსხეთქა და ძვლებმა ტკაცუნი მოიღეს. პოლიციელმა ტკივილებისაგან დაიღრიალა და გაუშვა ვოლფი. მას უნდოდა მარცხენა ხელით ამოელო რევოლვერი, მაგრამ ვოლფიმ არ აცალა, ეცად ისიც იატაკზე დაახეთქა. პირველი პოლიციელი წამოდგა და ხელი რევოლვერისაკენ წაიღო, მაგრამ ვოლფის მოელვარე, მახვილი კბილები უკვე ჩარჭიბილი იყო მის ხელში.

ბრძოლა თანდათან მძაფრდებოდა. ყველაფერი თავდაცირა გადადიოდა. სკამები, შუშის ნატეხები სისხლით მოსერილ იატაკზე ცვიოდა. ვოლფის ერთი ყური ნახევრად მოგლეჯილი ჰქონდა. მარცხენა თვალიდან სისხლი სდიოდა, მაგრამ ის არაფერს ჰქონდოდა. ის იკინებოდა და იკაშრებოდა ისე, როგორც ნამდვილი ცოფიანი. პოლიციელები მთელი ძალობრივით იბრძოდნენ.

მიუხედავად ამ ველური ბრძოლისა ერთ-ერთ პოლიციელს მაინც შემოესმა კარადიდან საკვირველი ხმაური, თითქოს ფიცრებს ამტვრევენო.

მაგრამ რომ მისულიყო იქ და დაენახა რამე, ამაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. ის ხელებით და ფეხებით იცავდა თავს ძალისაგან.

ამ დროს მესამე პოლიციელი მოვიდა, რომელიც საგუშაგოდან გამოეძახებინათ.

ის ოთახში რევოლვერმომარჯვებული შემოვიდა, შეარჩია ხელსაყრელი წუთი და გაისროლა. ვოლფი შეხტა და გაიჭიმა სისხლიან იატაკზე.

ჰენრიხი ნახა თავისი გეგმაზ  
გეგმობაზი.

ჰენრიხი ქუჩაში, ჭიშკართან იცდიდა. ის მშვენიერ ხასიათზე იყო. „ახლა უკვე ალარაფერია საშიში, — ფიქრობდა ის, პოლიციელებმა ხომ ვერავინ ნახეს და წასვლასაც აპირებდნენ. რატომ აგვიანებენ წასვლას? იქნებ სხვა ბინებში ეძებენ? ეძებონ! ჩეცინა ჰენრიხს. — სულელი პოლიციელები!

და აი, როდესაც ის იდგა და ყურადღებით აკვირდებოდა მიღამოს, რომ კარგად დაენახა მიმავალი პოლიციელები, უცბათ მან იგრძნო ვილაც გამოლელის დაჯახება. ჰენრიხმა მოიხედა და იცნო მაღალი ქერათმიანი ახალგაზრდა.

ახალგაზრდა არ შედგა. მაგრამ გვერდით ჩავლისას თითქოს თავისდაუნებურად შეეხო ჰენრიხს, ისე,

რომ არც კი შეუხედავს მისთვის. მან ოდნავ გაიღო-მა, შეუმჩნევლად თავი დაუქნია და მოეფარა კუთხია თხეს.

ჰენრიხი გაცნოტრდა. როგორ მოახერხა სახლიდან გამოსვლა? ჭიშკრიდან არ გამოსულა, სხვა გზა კი მას არ ჰქონდა. მაში როგორ მოხდა ეს?

ჰენრიხი ჩაფიქრდა. მაგრამ ის ტყუილად ცდილობდა გაეგო რამე. მას არ შეეძლო ამ გამოცანის ამთხესნა და გადაწყვიტა სახლში დაბრუნებულიყო.

კარი ღია იყო. ზღურბლზე სისხლი, ოთახში — სიწყნარე.

— ვოლფი! შესძახა ჰენრიხმა.

მაგრამ ოთახში კვლავ დუმილი სუფევდა.

ჰენრიხი გული შეეკუმშა. ის ოთახში შევიდა. იქ, იატაკზე, სისხლის გუბეში იწვა მისი საკუთხესო მეგობარი ვოლფი.

თარგმანი ელ-ისა

იოსეპ-ნონევზილი

# ღამე რუსება

რა ამბავია! კაშკაშებს  
ქალაქი ათას ფერებით.  
მზის სხივებს ხომ არ ამოჟყვნენ  
ამდენი პიონერები?!

ცას ხომ არ მოსწყდნენ ვარსკვლავნი,  
ღამღამით მოღაულაჟენი?  
მოედვნენ ქუჩებს, მოედნებს  
გოგონები და ვაჟები.

სამშობლოს სხვადასხვა მხარეს  
სკოლებში დაუზარებლად  
მათი ჩამოსვლა ახარეს  
ენატიტინა ზარებმა.

მერცხლებმა დილაადრიინ  
ცა მოიმწყვდიეს ბრჭყალებში,  
ჰსურთ შეეგებონ მეგობრებს  
ედურტულითა და ალერსით.

რა ამბავია?! კაშკაშებს  
ქალაქი ათას ფერებით.  
მზის სხივებს ხომ არ ამოჟყვნენ  
ამდენი პიონერები?!

მოვიდნენ,.. მუხლში ძალონეს  
გრძნობენ გიჟმაჟი ბიჭები,

ვინ მთაში იყო ბანაკად,  
დაჭრიალებდათ ფიჭვები;

ვინ სოფლად, გულგალელილი,  
გზებს მიჰყვებოდა ურმებით,  
ეფინათ ჩრდილი ხეხილის  
და ყვავილების სურნელი;

ვინ ზღვის ტალღებში რწეულა,  
მზეზე დაუწვავს სხეული;  
მოვიდნენ ანაზდეულად,  
ბრინჯაოს ფერიდ ქცეულნი.

გადმოჭრეს ზღვა და ხმელეთი,  
მთები, ფრიალო ხევები,  
განთიადს შუქი დაეცა  
წითელი ყელსახვევების.

მოვიდნენ... მარად მზიანი  
აენთნენ მათი თვალები.  
მოსწყურდათ წიგნის შრიალი  
და სასწავლებლის კარები.

ძირს ჩამოვიდნენ ვარსკვლავნი,  
ღამღამით მოღაულაჟენი.  
მოედვნენ ქუჩებს, მოედნებს  
გოგონები და ვაჟები.



# კრძოლა

ეს პატარა ნასახევი გადაოზღვეს ჩაპავების მრთვით გარმოლას მორჩილან. ამ ლეგენდა-სულ გმილს ბევრი დაბრკოლება გადაულახავს, ბევრჯერ გამოსულა უცხებლად განაცდე-ლიდა.

ერთხელ, 1918 წელს, ჩაპავები ავტომობილით მიემზავებობოდა. მასთან ერთად, გარდა შოთავის, არავინ იცო.

უცხელად გაჭაპები მორჩილი სოფელში მოხვდეს. ეს შეამჩნია ჩაპავება და შოთავის უზრუნველყოფა უკან გამოგრძელდება. ის იყო შოთავის მორჩილი მანევრი, რომ სირკა ატყდა. მორჩილი ეცნოთ ლეგენდასული გმილი და სეტყვასავით აუკიდენ ტყვიება.

მანევრი ტყვიამჟამვები იდგა. ჩაპავება მიაგრძნა მისი ტური უკან და... ცეცხლი დაათოვა! ავტომობილი მიმართა შუჩავი. უკან ცხენოსები მისდევდენ მას და ტყვიებს უვე-დენ.

რამდენიმე ჯუთის შემდეგ მანევრა სამშვილობო აღილზე გავიდა. შუჩავი დარჩენ და-ხოცილი გმილიდა.

ერთხელ ღამით, ჩაპავები და მისი რაზმოლები სოფელში ისვენებდენ. მოულოდნელად მათ თავს დაესხეონ თოთოჩები. ჩაპავები არ დაიბნა. წამოსტა უცებ საწოლიდან, საცვლების ამარა გაიცდა პარმო და მორჩილი ყვირილი:

— ურა, ამანანგებო, ურა!

რაზმოლები ჯამოცვილდენ, გაშას ძანილით ეჭვით თავდასხემოლებას და უკან გააგრძელოს ასეთი ფართი უზარებელი გადავის გადავის ცხოვრებაზე. ბევრი განსაცდელი გამოვიდა იგი, ბევრი განვითარება აიშორა ტყვია და ხილვი. გაგრამ 1919 წლს, ქ. ლიბიშაცეცი, მდინარეზე გადა-ვლისას, მტრის ტყვიით დაიღუპა ეს ლეგენდასული, სამვარელი გმილი.

ჯერ კიდევ არ გათვენებულა. ცა მოკუბრულია. სიბრელე დაუფლებია მიღამოს, საშინელი სიბრელე...

ცივი, გამყინვავი ქარი დაქრის მინდორზე, დრო-დადრო შემაძლწუნებლად წივის, თოვლის ფიფქებს ატრიალებს მაღლამაღლა...

ჯერ კიდევ არ დამდგარა დილის რიურაუი, ჯერ კიდევ დამება. ბანაკში ქი ილვიძებენ.

ეს-ეს არის ჩათვლიმეს მეტრძოლებმა, თვალი მო-ატყუეს, ძვალ-რბილი მასსვენეს და გაისმა ბრძანება, ბრძანება გაღვიძებისა! რა ქარგია ახლა ძილი, რა ტკბილია იგი! მაგრამ... მტერი არ ისვენებს, წყე-ული მტერი!

აი კიდეც:

მოლუშულ ცაში შრაპნელებმა გაიელვა. უმალ საშინელი გუგუნი მოისმა.

— დაიწყო, — გადაულაპარაკა ჩაპავება ამხანაგს, რომელიც მასთან ერთად მიდიოდა წინ, იქეთკენ, საიდანაც ცეცხლს გზავნიდნენ.

— ჰა, დაიწყო...

კიდევ რაღაცას ამბობდა მოსაუბრე, მაგრამ მი-სი სიტყვები ზარბაზნის გრევინებმ დაფარა. ზარ-ბაზანს ტყვიამთრქევევების ქაკანი მოჰყვა. მინ-დორზე ამაზრზენი ხმაურა ატყდა...

\* \*

გათენდა. ნათელი მოეფინა ყველაფერს.

აქა-იქ ქათქათა თოვლი წითლად შეღებილ ჩანს. ალაგა-ალაგ რრთქლი ადის. ეს ახალი სისხლი-საა, ახლადდაჭრილთა შეერდილინ გადმომდინარე სი-სხლის...

ამ ვრცელ მინდორზე, როგორც ტყვია, დაქრის ჩაპავები. ელვის სისწრაფით ხან ერთ მხარეს გაჩ-

ნდება, ხან მეორე მხარეს. დროდადრო მისი მჭექარე, ლითონისებური ხმა ისმის:

- იარალი საკარისალ გაქვთ?
- არის! — უპასუხებენ.
- ყუმბარები ხომ არ გაკლიათ?
- არ!

ან კიდევ:

- დასცხეთ პირდაპირ!
- მტერი ბევრია, მაგრამ არ შეგეშინდეთ!
- უკან არ დაიხიოთ, ბიჭებო! არ შედრეთ!

არ წამოდგეთ! ცეცხლი!

და თოვლში გაწოლილი მეტრძოლები ასრულე-ბენ ბრძანებას. წეანან და ისვრიან, პირდაპირ, ნი-ზანში...

სადაც მივა ჩაპავები, ყველგან იმედი და სიმამ-ცე მიაქვს. გამხნევებულ მეტრძოლებს ძალა ემატე-ბათ, ლომებივით იბრძეან. ხედავენ, თუ როგორ უშიშრად დაქრის მათი ლეგენდარული მეთაური.

— ჰა, მარჯვეთ, ბიჭებო, ბრძანებამდე არ და-იძრათ აღგილიდან! — კვლავ ისმის მჭექარე ხმა, ესო-დენ ძეირფასი და იმედიანი ამ საშინელ ბრძო-ლაში.

ის ისევ დაქრის ამ მინდორზე. საკარია, თო-თქოს ტყვიას ეშინია მისი. აგერ თავისი ბედაური მიაბრუნა, დეზი ჰერა, ბატარეის მეთაურთან მი-იჭრა უცებ.

— დასცხეთ წისქვილებს!

— მოცელეთ იქ ყველა ტყვიამფრქვევი!

ბრძანებისთანავე აკანდნენ ტყვიამფრქვევები. მაგრამ კვლავ უმალე მეორე მხარიდანაც მოისმა საპასუხო სროლა, თითქო ერთბაშად ათასი ტყვი-

მფრქვევი ძყეფდაო. ჩანს, მტერი უკანასკნელ ენერგიას იკრებს, მთელი ძალით უტევს მოწოლილ წითლებს...

უშიშარი მეთაური ვასილ ჩაპაევი კი უფრო სწრაფად დაქრის ყოველ მხრივ, თავისი ელვარე გამჭრიახი თვალებით ყველაფერს ამჩნევს, ყველა უბანთან კავშირი აქვს.

წინ ერთი მებრძოლთაგანი შესვდა, რაღაც უთხრა. მისი ხმა მხოლოდ ჩაპაევმა გაიგონა, სხვამ ვერავინ.

— სად? მარცხენა ფლანგზე? — გაისმა შეთაურის ლითონის ხმა.

— მარცხენაზე...

— ბევრი არიან?

— ბევრნი...

— ტყვიამფრქვევები ადგილზეა?

— ყველაფერი რიგზეა... გავგზავნეთ მაშველის სათვის...

ჩაპაევმა თვალის დახამხამებაში მოატრიალა ცხენი, მოსწყდა ადგილიდან და მარცხენა ფლანგისაკენ მოკურცხლა.

ყურებთან ერთმა ტყვიამ გაუწივლა, მერე მეორემ, მესამემ... თითქოს სიკედილი აუცილებელია!

— მიმიზნებენ წყულები! — ჩაილაპარაკა ჩაპაევმა, ცხენს კვლავ დეზი ჰერა და თითქოს ტყვიას შეაჯიბრა სიჩქარეში.

უვნებლად მითრინდა მარცხენა ფლანგთან. მისვლისთანვე გაერკვა მღვმარეობაში: აქ საშიშროება მოწოლილა. მოდიან და მოდიან ყაზახები. მათი ცხენები უკვე ჩანა...

— ყველა ადგილზე იყოს! — უბრძანა ბატალიონის მეთაურს. — მტერი ახლოს მოეუშეათ და... ბრძნებისთანვე ცეცხლი!

ჩაპაევი ისევ სადღაც გაქრა.

საშინელი წუთია, შემაძრწუნებელი წუთი; სიკვდილი კი ახლოსაა, სულ ახლოს, თვალებში უცქერ. ვინ იცის, ცოტა ხნის შემდეგ ვერც-კი სუნთქვავდე, ასე უდროიდ გამოემშვიდობო უძვირფასეს სიცოცხლეს...

ბევრი შეშინებულია, ბევრი ცახცახებს, ცახცახებენ სიცივისაგან, უძილობისაგან, დაღლილობისაგან და...

მტერთა უჩრდები კი მოდიან და მოდიან, თითქო უზარმაშარი ზეავი მოგორავსო.

შაგრამ არ, ფლანგს სანატრელმა სიტყვამ დაურბინა:

— ცეცხლი!

არახრახდნენ თოფები, აკაკანდნენ ტყვიამფრქვევები, აგრიალდნენ ზარბაზნები... სწორედ ცეცხლი დაინთო, მდუღარე, დამდაგავი, გამანადგურებელი ცეცხლი, რომლის გადალახდა აღარივის შეუძლია...

მომსკდარი ზეავი წუთით შედგა, პირი იბრუნა, მოპკურცხლა.

გაიქცნენ მტრები.

უკნიდან კი გამანადგურებელი ბათქია, წითლები ისევ ისერიან. ყაზახები დუმან. თითქოს სადღაც გამჭრალან.

ჩაპაეველებმა შეწყვიტეს სროლა. გამეფდა დუმილი, გულცივი და სულის ამფორიაქებელი! ეს დუმილი უფრო საშინელია. შეიძლება მტერი ძალას იკრებდეს, შეიძლება უკნიდან დაგესხას, რკალში მოგამწყვდიოს! მაშინ...

აქა-იქ თავი წამოყვეს თოვლიდან მებრძოლებმა და წინ დაიძრენ. ჯერჯერობით ისევ მყუდროებაა, სიჩუმეა... მაგრამ აი, როგორც კი ყველა ამოვიდა თოვლის სანგრებიდან, იფეთქა გულშემზარავმა სროლამ. სეტყვასავით წამოვიდა ტყვიები.

ისევ საშინელი წუთია. წითლები თითქოს უნდა შედრენენ, თითქოს ზურგი უნდა აჩვენონ მტერს! მაგრამ უეცრად გაისმა ჩაპაევის მგრგვინავი ხმა:

— ამხანგებო! ურა... ურაა!

— ურა! ურა, ურაა! — აგრიალდა მინდორი.

ერთბაშათ ყველა მოსწყდა ადგილს, თითქო გაუგონარი, ზღაპრული ქარიშხალი ამოვარდაო, ჩაპაეველები იერიშით გაიქცნენ წინ.

აზანზარდა მიწა, პაერში თოვლის კორიანტელი დადგა.


— ურა, ამხანაგებო!

— ურა, ურააა...

მინდორი შეარყია მგრგვინავმა ყიუინამ, გადაუარა სტანიცას და შორს, შორს გადაიკრება. მტერები უკვე დაფრთხენენ, გაიქცნენ.

გრიგალივით შეიჭრენ ჩაპაეველები სტანიცას სლომიხინში.





## თქმულება კოსტნი უკანი

არავინ იცის, როდის მოხდა ეს ამბავი. ეს კია, რომ მას შეძლებ უთვალავ წელს გადაულახავს ქამთა საზღვარი. მათზე ბეკრ რამეს ამბობენ, მაგრამ ყველაფერი ერთსა და იგივეზე მეტყველებს.

მათ აი აქ ჰყაურებიათ შეხვედრა, იფნიანში. ქალი სოფლიდან ჩაირბენდა დაღმართს, ვაჟი სამჭედლოდან შემოჰყვებოდა აღმართს და სანამ შემგლისფერდებოდა, საღამო ტებილ საუბარში დაილეოდა. ეძნელებოდათ გაყრა. გული „დარჩი, დარჩიო“ გაიძახდა, მაგრამ აბა როგორ იქნებოდა ახალგაზრდა ქალს ხორავით საესე ხონჩი რომ არ მიეტანა ვახშამზე. არც ვაჟისაგან დაითმობოდა ოჯახი. შინ უსინათლო მამა უჯდა მხოლოდ, ბავშვივით მოსავლელი იყო ბრძანა ვაჟეკაცი; როცა დამარტოვდებოდა, ჯერ მშეიდად მოუხმობდა პირმშოს, ეგებ აქ ახლოს იყოსო. თუ არ გამოეძრახებოდა, მაშინ მთასავით წამოიმართებოდა და ქუჩილის დარი ძახილით მიდამოს შეახმიანებდა. ფეხშარდი გეგენაც უმაღლ გაჩნდებოდა მის წინ და ბრძანა დევეკაცს გულ საგულეს ჩაუვარდებოდა.

რომ იცოდეთ, რა ყოფილა ეს დევეკაცი: ტანად მაღალი, ზორბა, ხელები მუხლებამდის სწოდებოდა, თურმე. თავი უწევულოდ დიდი და თვალები ჩასისხლიანებული ჰქონია. ოცდაათი წელიწადი მჟედლად უმუშავინა. მისი მელავის ლონე ხომ გასაოცარი ყოფილა: გაგიუბულ კამეჩს რქებში თუ დასტაუბდა ხელს, ერთ წუთში მოუგრეხდა კისერს და კიუინით დაანარცხებდა აბლავლებულ ცხოველს. ჰარმაგობისას უბედურება სწვევია: თვალთ სინათლე დაპლებია, ზედ ცოლის სიკვდილი დაპატებია და მას შემდეგ სევდა დასჩემებია უმოქმედო მჟედელს.

— ჩემს მაგიერობას ჩემი გეგენა გასწევს, ჩემი სისხლია, არ შემარცხევნს! — იტყოდა ხოლმე ბრძან მჟედელი და ბალნიან ხელს გულზე დაიბაგუნებდა.

ზოგი რამ კი არ მოსწონდა საკუთარი შეილისა. მზის ჩასვლისას გრდემლზე კვერის რაკუნი რომ შეწყდებოდა და ქათმები ხეზე შეიბუდებდნენ, გეგენა სადღაც გაქრებოდა.

— სწორებში წავიდა სათამაშოდო, — იტყოდა მოხუცი, მაგრამ გულს სხვა ფიქრიც გაუკერწლავდა.

— იქნებ იი გოგოანთას წავიდა. ძან კეთილი გოგონა კია ეგ ქეთევანი, მგონი, ჩემ ბიჭაც შე-

უარდა გული; თუ ასეა, რატომ არ შეუბნება? დროა გაბედნიერებისა, საქორწილოდ შეღერდა ვაჟაცი. ეს აზრი მოხუცის მდორე სულს საამოდ ულიტინებდა.

ახალგაზრდა ქალ-ვაჟი კი ამ დროს ითვიანში ისხდნენ, თავდავიწყებით საუბრობდნენ და თან ჟამშეურილ ტბას გაპყურებდნენ; რა იცოდნენ, რომ მათ ულრუბლო ბედს მწარე მომავალი უქადა!

მაშინ აღაზნის ველი ასე არ გამოიყურებოდა. თვალუწვდენელი ტბა ყოფილა გადაჭიმული ბორბალოდან იორ-ალაზნის ახლანდელ შესართავამდის. ხაშმიანი და მყრალი ყოფილა ამ ტბის წყალი. ვერც ერთი სულიერი ვერ ძლებდა ამ ტბაში. რამდენჯერაც არ მოუწადინებიათ სოფლელებს თევზის გამრავლება, იძღენჯერ მარცხით დამთავრებულა მათი წადილი: საგანგებოდ გაშეგბული თევზები დახოცილან, ხოლო გამრავლების მოცადენი სამუდამოდ დაზადიანებულან განუკურნავი სენით.

ტბის სანაპიროებზე მყრალი ბალახი იზრდებოდა, ჰაერს შმორის სუნით ჟღენთავედა და ავი სენის გავრცელებას აჩქარებდა. სოფლელები ახლო არ უვლიდნენ ჟამშეურილ ტბას, ყველა უფრთხოდა, მხოლოდ ბრძან მჟედელი და მისი ვაჟი გეგენა ცხოველი ბრძანენ ტბის სიახლოეს: გზაჯვარედინს დახარბდნენ და აკი საქმეც გამრაულეველი ჰქონდათ. სანამ მამას თვალები საღი ჰქონდა, ის იყო მუშაობის სული და გული, შემდეგ კი გეგენა დარჩა მარტო და ორი კაცის საქმეს აკეთებდა.

ცისმარე დღე მუშაობდა სამჟედლო. გეგენა გრდემლთან იდგა, ბრძან მჟედელი კი გაშლილი და გაბარდული წვერით საბერველთან დაყუდებულიყო და გრძელი ხელებით აქმინებდა თავის გაეგეთებულ საბერველს. ხან ისე მძლავრად დაუბერავდა, რომ გაღვივებული ნაკვერჩხლები ცდომილ ვარსკვლავებით ფრინავდნენ ქურის გარშემო.

ასე მიღიოდნენ დღები, უსიხარულო და ერთ-ფეროვანი. ერთ ღილას, მზემ რომ ცისკიდური შეაწითლა, კიფილი გაისმა საშინელი. გეგენამ ქეთევანის ხმას მიამგვანა და გული შეუფართხებლდა ყმა-წვილკაცს. შემაძრწუნებელი კივილი მოახლოვდა, გაიზარდა, ზარდამცემ ლრიალად გარდაიქცა და

მთები შეაჩამზარა. ყველა სულიერი გაიტვრინა, გაუჩინარდა.

— რა ამბავია ბიჭო, აბა გაიხედე ქვევით,—და-იბუხუნა შემკრთალი ხმით ბრმა დევკაცმა და სამ-ჭედლოს ზღურბლს გადმოალაჯა.

— ტბიდან მოისმის ღრიალი, რა უნდა იყოს არ ვიც.

კვლავ განმეორდა კივილი, უფრო ძლიერი და შემაზრჩენი. ტბიდან მოვარდნილ კივილს მთაზე შეფენილი საქონლის დამტრთხალი ბლავილიც და-ერთო და მამა-შეილის გულს უცნობი შიშით დაფე-რილი ფორიაქი შეუდგა.

— რა უნდა იყოს ტიალი, რა ძალუმიდ გაპკი-ვის?—კვლავ ახმიანდა მოხუცი.

— ტბიდან რალაცა ამოვიდა, მამაჩემო, აღმართს შეუდგა, ძენძულით მიდის სოფლისაკენ. უკან პრი-ალა კვალსა ტოვებს. ეშვები უბზინავს, შავი რქები აქვს, ტანი ქერტლიანი,—ქლოშინით დაიწყო გეგე-ნამ და თუთის ხეს მაგრად შემოაჭდო თითები.

— რა უნდა იყოს ტიალი, მაგისთანა არაფერი მინახავს!—კვირობდა ბრმა დევკაცი.

— ჰაუ, საქონელს დაერია. მივეშველები! შენ სამჭედლოში შედი!—წარმოთქვა სწრაფად გეგე ნამ და ადგილიდან დაიძრა.

დიღხანს ისმოდა ძროხების გულსაკლავი ზმუ-ილი. თხების კიკინი და დამტრთხალ ფრინველთა ყვილი...

ბინდისას დაბრუნდა გეგენა. გასაოცარი ამბავი მოუთხრო მამას. თურმე, საშინელი რამ იყო ის ცხოვე-ლი. ყველაფერს ეტანებოდა. რომელ ძროხასაც წასწედებოდა, ფეხზე არ აყენებდა. წაქცეულს ორ-ჯერ ჩაჰენდა, ორ ლუქმა ხორცს ამოვლეჯდა, პირს სისხლით მოისვრიდა და ახლა სხვას წასწედე-ბოდა.

— დიდი იყო ის ურჩეული?—იყითხა მამამ.

— კამეჩის ტოლა იქნებოდა, ხოლო ეშვები ჰქონდა გრძელი,—იყო ბასუხი,

— კამეჩის ტოლა!—გაიკვირვა მოხუცმა.—და მერე შენ რა ჰქენი, არ მიეშველე საქონელს?

— ძან მძლავრი ჩანდა, შემაშინა ტიალმა.

ბრმა დევკაცს არ ესიამოვნა პასუხი. სახე და-ელრიჯა. ქვემოთა ლაში აუტოედა. უსანდომოდ შე-ბრუნდა სამჭედლოსაკენ, ზღურბლზე გადაალაჯა. საბერველთან მიდგა და დაუბერა. ნაკვერჩლები

გაღვივდა. ალი ამოვარდა. მკრთალმა სინათლეში მჭერტლიანი კედლები გაანათა. წვერგაბარლულ მჭედლის სახეს სანთლის ფერი შეფრექვია. დიდ-ხანს უბერა დევკაცმა. მორის სიმსხო მკლავები მძლავრად ირხეოდნენ... ბოლოს გამოერქვა, რომ გრდემლზე არავინ მუშაობდა, მოავონდა, წელან ფრთათა ფართატით რომ შეიბუდეს ქათმებმა. სა-ლამო უნდა იყოსო, — გაიფიქრა, საბერველი მიატო-ვა და კარში გამოვიდა. ჭალარა წვერი გაუწერია ნიავმა. კარგახანს იდგა ქანდაკივით. არჯალი ფიქ-რი აწუხებდა მამის გულს. „ძან მძლავრი ჩანდა, შემაშინა ტიალმა“— მოავონდა შვილის სიტყვები. უგემურად გადააფურთხა. მარცხენა წარბი შეზ-ნიქა.

— ვერ გამოვიდა გულადი. ჯილაგს შემირცხვენს,— ამოიოხრა ბრმა დევკაცმა და თავი ჩაჰეკიდა.

ირგვლივ აიშილა. ცის გუშმათი ენდროს ფრად შეიღება. მზვერავივით ნამალევად მოახლოვდა მთვარე და ცალი ყური გამოაჩინა.

ბრმა მჭედელმა მარჯვენა ხელზე სელი, ხაო-იანი შეხება იგრძნო. თითქოს მცურავი შეეხო, შეაუ-რეოლა. დაიხარა. ნელი ფშვინვა შემოსმა; მიხედა: ფიქრში წასულს ხბო მიპაროდა და ალერსის ნიშ-ნად ხელს ულოკევდა. ბრმამ ხელები მოუფათურა. ხბოს თავზე ახლადამისული რქები შეიგრძნო. — სა-ხარე ჩანს,— ჩაილაპარაკა თავისთვის და უგულოდ დაიძახა:

— გეგენავ, არ გესმის, ბიჭო! დაკარგული ხბო მოგვადგა. იმაღამ შეინახე და ხვალ მოიკითხე ვი-სია!— ცივი, უსანდომო ხმით წარმოთქვა ბრმა მჭედელმა და საწოლისაკენ გაემართა.

იმ ღამეს ფიქრში იყო მოხუცი. შვილის მხდა-ლობა აწუხებდა. „შემაშინაო“— მალიმალ იგონებდა გეგენას ნათქეამს და ბრაზმორეული წვერს იწიწ-კიდა.

შვილმაც შეიტყო მშობლის გულისთქმა და თა-ვისთავით უქმაყოფილომ ღამე თეთრად გაათენა.

მეორე დღეს ახლომახლო სოფლები მთლად მოიარა გეგენამ. გორიდან გორს გაისმოდა მისი ძახილი.

— სახარე ხბო ხომ არ დაგეარგვიათ. ჰეეე...ე!


ხბოს პატრონი არ გამოჩნდა. სინდისიდაწმენდილი დაბრუნდა ყმაწვილი, მამას მოკრძალებით მოახსენა; ხბოს პატრონი არ გამოჩნდა.

— რა უკუოთ, ყველაფერი მოსაგალია. მომავალ წელს ქორწილი გწადიან და საკლავი თავისი ფეხით მოგივიდა, — ცალყადა შეეხუმრა ბრმა დევკაცი.

ქორწილის ხსნებაზე გეგენას ქეთევანის ხორ-ბლისფერი სახე დაეხატა თვალწინ. ესიამოვნა და ჩა-უტჩდა.

— გაზარდე, შვილო, გაზარდე, გამოგვადგება!— მხოლოდ იმ ურჩეულს მოარიდე! — ამ სიტყვებზე მოხუცს სახე კვლავ დაემანქა და წუხანდელ ფიქრს შეებრძოლა.

გეგენას არაფერი უთქვამს. აუჩქარებლად შევი-და სამჭედლოში და გრდემლი აახმაურა.



ბრძის გამახვილებულმა სმენამ წელი ფაჩუნი შეიგრძნო. ცნობისმოყვარეობით გატაცებულმა მოხუცმა ყური ყარა. გულმა საამო უთხრა და ნამალევად სამჭედლოს ქედელს მიაყურა.

კვერის ცემა შეწყდა. წყნარი, საიდუმლო ჩურჩული დაიწყო. მოხუცი ქედლის ფიცრებს მიეკრა. მკაფიოდ გაიგონა შეილის ხმა.

— მამა გაბრაზებულია ჩემშე, გუშინ ვაწყენინე და ჯერჯერობით ვერ გავუბედე.

— მე კი ძლიეს შავი დღითა და ოფლის წურვით ვუთხარი დედას და ჯერ კი... ჯერ კი... ვაჯავრდა, მაგრამ მერე ვამიცინა და თქვა: გეგენა კარგი ბიჭია, უარს არ ვეტყვიო, დაქორწილდითო, — ნერწყვის ყლაპვით ამბობდა ქალი.

ბრძა მჭედელმა ქეთევანის ხმა იცნო, ვეღარ მოითმინა და სამჭედლოს კარზე მიღვა.

— ბიჭი გეგენავ, დაბერვაში მაინც მოგეშველები, შვილო, მარტო დაილები!

მოხუცის უცაბედი გამოჩენით შეშტოთდა ქალი. გაიტვრინა და ელოდა როდის შემოვიდოდა სამჭედლში, რომ ფეხაკრეფით გაპარულიყო. მოხუცი ფეხს არ იცვლიდა, თვალგამოთხრილი კიქლოპივით იდგა ზღურბლზე და ცდილობდა ქეთევანი არ გაჰპაროდა.

გეგენამ ქალის წადილი გაიგო. თხოვნის კილოთი მიჰმართა მოხუცს:

— მოდი, მამილო, დაუბერეო.


— აი შე ეშმაკო, შენც ეგრე? შენც მღალატობი გინდა რომ ვამეპაროს ქეთევანი? ვერა, ვერ ვამეპარება... მოდით, შვილებო, მოდით, დაგლოცოთ.

ბრძა მჭედელმა ბალნიანი ხელები წინ ვაიშვირა და თბილად, თბილად იძახდა: — მოდით, შვილებო, მოდით!

ცოტა მორცხვობის შემდეგ ქალ-ვაჟი მიუახლოვდა და მთასავით ვება მოხუცმა ორივეს შემოხვია ხელი. არაჩვეულებრივი სიხარული იგრძნო ბრძა დევეკაცმა. თითქოს თვალები აეხილა: მისი ვაჟი არც თუ ისე ჩია ყოფილა, როგორც მას ეგონა. თავისი უჩვეულო გრძელი ხელი ძლიეს შემოაწვდინა ბეჭებზე. მისი მკლავებიც რკინისავით ეჩვენა. სიმაღლითაც მასზე მაღალი უნდა იყოს... მერე რა მკვრივია...

— არა, ჯილაგს არ შემირცხვენს, — გაიფიქრა ბრძამ და უფრო შაგრად მოხვია ხელი, ქეთევანი კი, ეს ნაზი, სათუთი გოგო, შორიდან რომ იცნობდა, მართლაც ნაზი ყოფილა, ფაფუკი.

მოხუცმა მზრუნველობით მოუსვა ხელი. მსხვი-



ლი თითები ცხვირზე გადაიტანა და ყურის ბიბილოს დასწვრივ ყელისა და სახის გასაყართან ბუსუსიან აბურცულ ნაწილზე შეუჩერდა საჩვენებელი თითი.

— ეს რა არი, კუდრაჭავ?

— ხალია, — მორცხვად უბასუხა ქეთევანმა და წამოწითლდა.

— ხალია! იყოს! — დააბნია მოხუცი მოწოლილმა სიხარულმა, ბორძისი დაიწყო და ძლიეს წარმოთქვა: — დაილოცენით, შვილებო, დაილოცენით!

დარცხვენილი ქალი სამამამთილოს ხელიდან გამოუსხლტა და ნაკადულიგით დაკლაკულ ბილიკს შეჰვება. ვაჟი კი დიდხანს ჰყავდა ჩაბლუჯული ბრძა მჭედელს. ტკბებოდა პირმშოს სისრულით. „არა, ჯილაგს არ შემირცხვენს. ჩვენ ხალხს იხსნის გაჭირვებისაგან. ბრძა მამას მასახელებს“, — ფიქრობდა იგი.

კარგახანმა გაიარა. სახარე ხბო ვაიზარდა, ვაივსო და სანაქებო ბუღად გადაიქცა. იმ არემარეში ვერცერთი ბუღად ვერ უმაგრდებოდა. რომელიც კი ვაბეჭავდა შეჭიდებას, ყველას ამირცხებდა. უხაროდა გეგენას. უხაროდა ბრძა დევეკაც და უხაროდა ქეთევანსაც: მასაც წილი ედეა ამ ბუღის გაზრდაში.

უმაგალითო სილამაზისა იყო პირუტყვი. განსაკუთრებით ქათქათა ნიშა ამშვენებდა მის ფართე შუბლს. ამიტომ იყო, რომ ნიშა შეარქვეს ახალგაზრდებმა. ერთი ავი ზნე სჭირდა ბუღას: გეგენასა და ქეთევანის გარდა არავის იკარებდა. თვით ბრძა მჭედელს ახლო არ უშვებდა, ქსუობდა. თვითონ კი

მიუახლოვდებოდა მთვლემარე მოხუცს, დასუნავდა და გაშორდებოდა. საკვებს მხოლოდ გეგენას ხელი-დან იღებდა. ამაყი იყო ძლიერ, ჯერ დამარცხება არ განეცადა და მედიდურობდა გალალებული.

ერთ ზაფხულს, სისხამ დილით, ტბის გულიდან ქვლავ გაისმა კივილი. თითქოს ეს უზარმაზარ სივ-რცხვები გადაჭიმული წყალი ქშინავსო, ისე ამოდი-ოდა მისი წიალიდან გულშემზარავი შმაური. მთებ-

და ბანი მისცეს. ერთმანეთს გადასცეს გამოძახილი, აქუთხდა ხევები. აბლავლდა სადგომებიდან კარლაზი გამოშვებული საქონელი. ძალლებმა ყმუილთ შორის და ატირდნენ ძუძუმწოვარა ბალლები.

— ბულა მოაფარე სადმე, გეგენავ, არ გაგვი-ფუჭოს იმ ტიალმა! — შფოთვით წარმოთქვა ბრმა მჭედელმა და ისე მაგრად გაჭიმა მკლავი, რომ მის-მა ჭახანმა ეზო შეახმიანა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

## სეაგეი მიხადვოვი

# ს 3 0 8 ღ ე ა 6 ა

შენ არ გძინავს,  
ბალიშს სოელავ  
და საბანიც არ გხურავს...

მოყვაეილე პიტნას ველად  
ზეცამ ნამი აპურა.  
სძინავს ჩიტებს არყის ხეზე,  
და ყანაში მწყრებს სძინავთ...  
რათ არ გძინავს, რათ ხარ ესე,  
აკი ადრე ჩაგთვლიმა?

დიდი გახდი, შენ ხომ ძილშიც  
არ გაშინებს ლანდები.  
იქნებ ვარსკვლავები გიშლის?  
მოგაშორო ვარდები?

მომძინარე წევს კურდლელი  
და ჩვენც ძილი გვწადიან,  
ბინებში კი წყნარად ნელი  
ზმანებანი დადიან.  
სავარძლებზე ხვრინავს ხალხი,  
საწოლებზეც ხალხს სძინავს.  
ზოოპარკში მძინარ ვარხვებს  
ღია ცისქვეშ აქვთ ბინა.  
ჩაეთვლიმათ მურა დათვებს,  
სპილოს ფეხზე მდგომს სძინავს.  
რა ესიზმრათ?  
სიცხე ნახეს?  
ძმები?  
აფრიკის გრგვინვა?

ქარნი სამხრეთით გაბრუნდნენ.

კაცს ქუჩებში ვერც ხვდები.  
ძილში მდინარ ამურზე  
აშრიალდნენ ლერწმები.  
აჩურჩულდნენ ბალახები,  
ტყეს ფოთლები არ სცვივა...

შორს, საზღვარზე, თვალიანთებულს  
გუშაგს ტყეში არ სძინავს.  
დგას.

ციაგი შუქს ფენს ცაზე.  
თვალს იყოლებს ღრუბელი,  
აქ, მის ზემოთ, ჩვენს საზღვარზე,  
გამოდიან ღრუბლები,  
მხეცებს გვანან, მაგრამ ვერა,  
ღრუბლებს ველარ მოიწვდენ!

დაიძინე უშფოთველად,  
შეგიძლია რომ იწვე,  
მე კი ალარ გაგალვიძებ,  
ვიდრე დილა ბნელს დახვეს,  
შენ, სვეტლანა,  
ბნელში იწევ,  
ტქბილი სიზმრები ნახე.  
მოქანცული შორი გზიდან  
ქარიც ჩაწვა მინდვრად,  
მოიხურე საბანი და  
დაიძინე მშვიდად.

თარგმნა პლეიო ზენელიაზ

# „რაჭით სასუნერი“

მრავალი ბრძოლა გადაუტანია სომებს ხალხს დამმოწმენდოლთა წინააღმდეგ. წინათ სომებს ხალხს თავს ესხმოდნენ ბიზანტიელნი, ირანელნი, არაბები. დამპყრობელთა ურდოები მიწასთან ასწორებდნენ ყველაფერს.

სომები ხალხი მედგრად იბრძოდა მტრის წინააღმდეგ. ხანგრძლივი ბრძოლა მეცხრე საუკუნეში დაგვირგვინდა სომეთია პატარ-პატარა სამეფო-სამთავროთა ჩამოყალიბებით სომეთის ტერიტორიაზე, რის შემდეგ სომებმა ხალხმა განდევნა დამპყრობელები: არაბები, თურქ-სელჯუქები და სხვა.

აი სწორედ ამ ბრძოლის ისტორიაა მოთხრობილი მხატვრულად სომები ხალხის უდიდეს ეპიკურ ნაწარმოებში, რომელსაც „სასუნელი დავითი“, ინუ „სასუნელი გმირები“, ანდა კიდევ „დავითი და მჰერი“ ეწოდება. ეს ნაწარმოები ნათლად გვიხატავს, თუ როგორ ცხოვრობდა სომები ხალხი იმ დროს, როგორ იბრძოდა იგი მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ, რა გასაოცარ გმირობას იჩენდნენ სამშობლოსათვის თავდადებული მებრძოლები.

ამიტომ „სასუნელი დავითი“ ძალიან შეუყვარდა ხალხს. იგი ზეპირად ვრცელდებოდა და თაობიდან თაობაში გადადიოდა.

ამ ნაწარმოებმა ჩვენამდის მოაღწია არა ხელნაწერის სახით, არამედ ფოლკლორული პოემის ფორმით, რომელიც პირველ ჩაწერილ იქნა გასული საუკუნის მეორე ნახევარში სხვადასხვა ვარიანტით, ხალხურ დიალექტებზე, გ. სრვანძტიანის (1874 წელს), მ. აბელიანის (1889 წელს), გ. ჰოვეფიანის (1892 წელს) და სხვათა მიერ.

იყოვე ნაწარმოები გამოყენებული იყო სომებ პოეტთა ჰოვანეს თუმანიანისა და ავეტიქ ისაპაკიანის სათანადო პოემებისათვის: თუმანიანმა დაწერა „სასუნელი დავითი“, ხოლო ისაპაკიანმა „სასმა მჰერი“, რომლებიც ქართულადც გამოიცა ახლახან.

ხალხური „დავით სასუნელი“ ძირითადად ოთხი კარისუან შედგება.

პირველ კარში გმირებად არიან წარმოდგენილი სანასარ და ასლიმელიქი (ბაღდასარი), რომელიც მოგვაგონებენ ასურეთის მეფის სენექერიმის ძეთ სანასარსა და აღრიმელიქს (ვალტაზარს). ამათგან სანასარი ხალიფატის საწინააღმდეგოდ წარმოებული დაუდგრომელი ბრძოლის პროცესში აშენებს სასუნს.

მეორე კარში მთავარი მოქმედი პირია სანასარის შვილი არიუწაძევ, ე. ი. ლომის სახის მჰერი, ანუ უფროსი მჰერი, რომელიც ათავისუფლებს ხალხს უცხოელთა ბატონობისაგან; მის საგმირო მოქმედებათა წყალობით სასუნის ხალხი აღწევს დამოუკიდებლობას.

მესამე კარში დაწერილებით მოთხრობილია ამბავი უფროსი მჰერის შვილის დავითისა, რომელიც სასუნელი დავითის სახელით არის ცნობილი, და იგი პოემის ცენტრალური ფიგურაა, რამდენადც საბოლოოდ ამარცებს და სდევნის ხალხის ყველაზე საშიშ მტერს—ბუმბერაზ მსრა-მელიქს.

დაბოლოს, მეოთხე კარში საუბარია დავითის შვილის—უმცროსი მჰერის—შესახებ, რომელიც პრომეთეოს-ამირანივით დაწყვდებულია კლდეში და მოელის განთავისუფლების ქამს, რათა ხალხს დაეხმაროს მტრებთან ბრძოლაში, საბოლოოდ გაანადგუროს შემოსული მტერი.

„სასუნელ დავითში“ საქართველოც არის მოხსენებული. დავითი მოგზაურობს საქართველოში. აქ ის მეტოქეობას უწევს ჩინმაჩინის, ე. ი. ჩინეთის მეფეს, ლამაზი ქალისათვის.

ეს ლამაზი ქალი ქართველთა მეფის ასულია. ჩინმაჩინის მეფეს განხრახვა ჰქონდა თავისი შვილისათვის გაერიგებინა მეფის ასული. მაგრამ დავითმა ძალით მოიტაცა ქალი და სასუნში წაიყვანა.

ამ წლის სექტემბერში ათასი წელი შესრულდა „სასუნელი დავითის“ შეთხვიდან. მთელ საბჭოთა კავშირში აღნიშნავენ ამ თარიღს.

მრავალ ენაზე ითარგმნა და ითარგმნება „სასუნელი დავითი“. ახლაც ინტერესით იკითხება იგი და ინტერესით წაიკითხავენ მას მომავალშიც.

# გიორგი უთიშევაძე

(გარდაცვალებიდან 75 წლისთავის შესრულების გამო)

ოთხშეოცდათი წლის წინ საქართველოს დედა-ქალაქ თბილისში სულ არ ეწყობოდა ქართული სალამოები. ბევრს მაშინ ვერც კი წარმოედგინა, თუ შეიძლებოდა ამგვარი საქმის გაკეთება. ბევრი ფიქ-რობდა, რომ ქართულად არ მოხერხდებოდა პიესის დაწერა და ქართველები ვერავითარ არტისტულ ნიჭის ვერ გამოიჩენენ.

მაგრამ აი, 1850 წლის დასაწყისს თბილისში გაჩნდა აფიშა, რომელიც იუწყებოდა: ორ იანვარს, გიმნაზიის დარბაზში, ღარიბ ხალხთაოვის, ფრან-გულად წარმოდგენილი იქნებოდა პიესა „მიხეილ და ქრისტინე“, ხოლო ამის შემდეგ, — პირველი ქართული წარმოდგენა „გაყრა“.

აფიშაში ეწერა „გაყრა“ გიორგი ერისთავის კომედია არისო, პიესაში თვით ავტორიც ითამაშებსო.

ამ ცნობამ დიდი ინტერესი გამოიწვია თბილისში. უკვე დანიშნულ დრომდე გიმნაზიის დარბაზში აუკრებელმა ხალხმა მოიყარა თავი. დარბაზი ვერც კი იტევდა მაყურებლებს.

მაღლე დაიწყო ქართული წარმოდგენა. სცენაზე გამოჩნდა თავადი ანდუყაფარ დიდებულიძე.

იგი ზის ქახტებ. კალთაში მუთაქა უძეს. ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ იწყებს მოთქმას იმ უბე-დურებაზე, რომელიც მის ოჯახს მოელის: რუსეთი-დან დაბრუნებული ძმა ივანე გაყრას მოითხოვს. ანდუყაფარი შეწუხებულია, გრძნობს, რომ გაყრა აუცილებელია. და მერე რაღა იქნება მისი ოჯახი? „აი, თუ მტერი ნიშანს მომიგებს“, ამბობს იგი, ოხრავს, ოფლს იწმენდს და განაგრძობს:

„ჰეი, ოჯახო, კარგო ოჯახო,  
შემდგომ გაყრისა ვის დავენახო“


მაყურებლები გატაცებით უსმენენ ანდუყაფარს, გაფაციცებით ადეგნებენ თვალყურს მის მოქმედებას. ისინიც გრძნობენ, რომ თავად დიდებულიძებს ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებათ, რომ ეცემა თავად-აზნაურობა.

წარმოდგენის შემდეგი მსვლელობა უფროდაუფრო იზიდავდა მაყურებლებს. ხშირად დარბაზში ისმოდა ტაშის გრიალი და მოწონების შეძახილები. განსაკუთრებით მოსწონდათ პიესა და ავტორის მშენებით თამაში.

მეორე დღეს, და შემდეგაც, ქალაქში ყველგან ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ როგორ კარგად ასრუ-

ლებდა გიორგი ერისთავი ვაჭარ მიკირტუმ გასპარიშვის როლს, თუ რა მშვენიერი კომედია იყო „გაყრა“.

იმ დროს გიორგი ერისთავი უკვე ცნობილ მწერლად ითვლებოდა, მას რამდენიმე ლექსი ჰქონდა დაწერილი, მაგრამ მშვენიერმა პიესამ და წარმოდგენამ უფრო მოუხვეჭეს სახელი.



საერთოდ, გიორგი ერისთავის შემოქმედებაში ყველაზე უფრო შესანიშნავია მისი დრამატიული ნაწარმოებები: „გაყრა“, „დავა“, „მუნწი“, „

ამ პიესებში ის გვიხატავს მაშინდელ წესწყობი-ლებას: ძველი ფეოდალურ-ნატურილური მეურნეობის რღვევას, თავად-აზნაურობის დაცემას, საფაჭრო კაბიტალის განვითარებას...“

„გაყრაში“ ანდუყაფარ დიდებულიძე და მისი ძმა პავლე ძველის მოტრფიალენი არიან. მათ სურთ ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც მანძმდე იყო. ეწინააღმდეგებიან ყოველგვარ ახალს, ჭირივით ძულთ ივი. თავადები დროს სულ უსაქმობაში ატარებენ. პავლე მეტწილად ნადირობას არის გადაყოლილი. მუდამ თავის გაწრთვნილ ქორებსა და ძალებზე ზრუნავს. მათ მეურნეობას მოურავი უვლის, რომელიც იმას ცდილობს, რომ რაიმე მოიპაროს, ააწიოკოს ყმები.

ყმების შიმართ უფრო შეუბრალებლები ანდუყა-  
ფარი და პავლე არიან. ისინი ხშირად არბევენ და  
ავიწროებენ ყმებს.

ამ თავადებისათვის სრულიად უცხისა სწავლა-  
განვითარება. მათ ქვეყნის ამბების არა გაეგებათ  
რა. სწავლა-განათლებას აღმაცერად უყურებენ.

როცა რუსეთიდან ივნენ დაბრუნდება და  
გაყრას მოითხოვს, ანდუყაფარს იგი შემლილად  
ეჩვენება, „არ ვიცი, რა ემართებათ ამ რუსეთში,  
— ამბობს იგი, — იწამლებიან თუ რა არის. ბიჭი,  
საქურევლია, მოზღოვს შეც ვიყავ, მაგრამ კი არ  
გავგიებულება“.

— უთუოდ, რუსეთის ყინვით თავი ეყინებათ. — სი-  
ცილით უპასუხებს მოურავი ბარამ.

მათ ჰქონდათ ერთგვარი საბუთი ასეთი ფიქრისა.  
ივანე ზევიდან დასცერის ყველაფერს ქართულს.  
ქართული ლვინო „ქლუკვენი კასია“, ამბობს, ეს  
ზერები უშორდ არის მოწყობილი, ყველაფერი უნ-  
და შევცალო. ამიტომ მოითხოვს გაყრას.

დიდი დავიდარაბის შემდეგ ძები გადაშევეტენ,  
რომ გაიყარნონ. ერთ დღეს დაიწყებენ გაყოფასაც.

მაგრამ შევიდად არ მიძინარეობს საქმე, ძმებს  
ხშირად მოსდით ჩხუბი. დიდი დავა იმართება შუ-  
თაქის გაყოფაზე, პავლე ამბობს, მუთაქა ჩემი-  
აო, ჩემი ახალუხის ნახენისაგან არის შეკერილია,  
ანდუყაფარს კი სურს თვითონ დაისაუთროს შუ-  
თაქა. ეცემა პავლეს და წარიმეეს. უძალ პავლე  
მოტრიალდება და ხელიდან გმოსტაცებს მას მუთა-  
ქს, ხანჯალს ამოილებს და ემუქრება: „აბა მო-  
რძანდი და წაიღე“.

ანდუყაფარიც გაიქცევა. გამოიტანს ხმალს და  
ყვირის:

— დავჩეხავ მავ სულელსა!

— მომიტანე ერთი დიდი თოფი! — ღრიალებს  
პავლე, — აი, ქალაქუნა დედაკაცო, ნახეთ, ჩახდაი  
შეაწეაუნე. მამა არ წამიწყდება, გამიგონე! გამი-  
შეით, რა თოფი მინდა? ცალი ხელით დაგახეჩიბ  
შელიასავით, ვა არა აქვს შეს პავლესა, ჰო!

საქმე იქამდე მივა, რომ ივანე ორად გასპრის  
მუთაქს. ერთ ნახევარს ანდუყაფარს მოუგდებს,  
მეორეს — პავლეს.

ასეთი ვაიუბედურების შემდეგ ამთავრებენ გა-  
ყოფას.

როგორც ვიცით, ივნეს სურდა ახალ ყაიდაზე  
მოქარი მეურნეობა, მაგრამ იგი უძლური გამოდგა  
ამ საქმეში. მან ჩევულებრივად შეირთო ვაჭარ მი-  
კირტუმ გასპარიჩის ქალი, ისე რომ არც ყვარებია  
იყი, და დაესახლო თავის ძმებივით.

მიკირტუმამ თავად დიდებულიძეებთან ფულ-  
ით მოახერხა დამოყვრება. ფულით გაიმარჯვა მან.  
ეს კარგად იცის ვაჭარმა. ხედას, რომ ფულით შე-  
იძლება ყველაფრის გაკეთება. „ეს სოფელმა სულ  
ფული, ფული, სხვა ყველა ტყუილია“ — გაიძახის  
მიკირტუმ გასპარიჩი.

„ფული... ყოველი სიხარული! ფულმა... შეაქ-  
ცევს გულმა! ფული გიცხონებს სული...“ ასევე ფიქ-  
რობს კარაპეტ დაბალვიც („ძუნწი“). კარაპეტა  
დაბალვი მდიდარი კაცია, მისი ყუთი სავსეა ოქრო-  
ებით. მაგრამ მაინც ძუნწია, ძუნწე ძუნწი.

ერთხელ მასთან ერთი ნაცნობი თავადის მსახუ-  
რი მივა, დამბაჩას მიუტანს გირაოლ და სესხს სთხოვს  
ცოტა ხნის ვალით.

— ჯერ მითხარ, ტამბაჩა არა მინდა? — კითხუ-  
ლობს კარაპეტა.

მსახური, — ერთ ტყვეთა ლირს; ნახე, ინგლისია!

კარაპეტა — მე განა ლეკი ვარ, ტყვე, ვიყიდო... ინგლისის მათლაფა გამიგონია... არ მინდა ხელს არ  
მოცემს.

მსახური — ჰეი, დროვ! იარალი ჩალის ფასად  
ალარ გადის! ალავ, ძალიან საჭირო არის... რაც  
გინდა, ის მომე.

კარაპეტა — ეს ვერცხლი აჲყარე, აქ იქნება  
ასი მისხალი: ხუთი მანეთი მოგცე ერთი კვირა ვა-  
დით, ეს რკინა უკან წაიღო.

მსახური — ვაი შენ, ჩემო თავო, ფასი აშ  
რეინას აქვს.

კარაპეტა — რკინის ფასი ფუთი რვა აბაზია,  
ეს ერთი გირგანქაც არ არის.

მსახური — შენ არ იცი, რა ლირსება აქვს ამ  
დანბაჩას. ჰერი გაიტენება... სადაც სახლში ეს იქ-  
ნება, იქ ქურდი არ შევა. თუ შევა, დანბაჩა მისცემს  
პასუხს.

კარაპეტა — თითონ გავარდება?

მსახური — მაშინვე.

კარაპეტა — მერე, ქურდი მოკვდება?

მსახური — რასაკვირველია.

კარაპეტა — (თავისთვის). ზანდუქში დავდებ,  
კარგია... თუ ჩემი ზანდუქს ქურდი მივა... ძინგ...  
გავარდა... ქურდი მოკვდა...

კარაპეტას სიცოცხლეზე უფრო უყვარს ფული.  
ფულისათვის ყველაფერს ჩაიდენს, ყველაფერს გა-  
აქეთებს. ოლონდ იქროები არ წავიდეს მისი ხელი-  
დან.

თავადები მასთან დადიან ფულისათვის, უფრო-  
დაუფრო დამკიდებული ხდებიან კარაპეტაზე და  
სხვა ვაჭრებზე.

\* \* \*

გორგი ერისთავი დაიბადა 1811 წელს. მისი  
მამა დავითი იყო ქართლის მებატონე. პატარა გი-  
ორების სახლშივე შეასწავლეს წერა-კითხება. დედამ  
გააცნო ქართულ მწერლობას. ათი წლის რომ შეი-  
ქნა, თბილისის კეთილშემიღებით სასწავლებელში შე-  
იყვანეს. აქ სწავლობდა 1825 წლის შემდეგ იგი  
თავის ბიძაშვილ ესტატესთან ერთად მოსკოვს გა-  
გზავნეს და კერძო პანიონში მიაბარეს. მაღლ ბიძა-  
შვილი ივად გახდა. ექიმებმა მას სამშობლოში და-  
ბრუნება ურჩიეს. გიორგიმ ესტატე წამოიყვანა სა-  
კართველოში და პანიონშაც მიანება თავი.

1832 წელს „საქართველოს უწყებანის“ ნომრებ-  
ში იბეჭდება გიორგი ერისთავის პოემა „ოსური  
მოთხოვნის“ დასაწყისი.

ამავე წლის დეკემბერში შეოქმულებაზი მონაწი-  
ლეობისათვის იგი დაპატიმრეს.

ცამეტი თვის პატიმრობის შემდეგ გაგზავნეს  
პოლონეთში — ვილნის მესამე ქვეითი დივიზიის  
კომბაზირთან.

ოთხი წელიწადი და შეიღი თვე გაატარა მან  
პოლონეთში. შემდეგ დაბრუნდა უკან და დაესახლა  
სოფელ ხიდისთავში. აქ ცხოვრობდა დიდხანს, 1849 წლამდე. ამ წლის დასასრულს გადავიდა  
თბილისში. შემდეგ აქ დაბარსა ქართული თეატრი.

1852 წლიდან მისი ხელმძღვანელობით იწებეს  
გამოსვლას ურნალი „ცისკარი“.

გიორგი ერისთავი გარდაიცვალა 1864 წლის  
22 სექტემბერს ქ. გორში.

# კომპოზიტორი

პომპეა... ამ სახელის მოგონებასთან ერთად ზოგით იცხება აღამიანი ბუნების იშ დაუღროშელი და ამობოქრებული სტიქიისადმი, რომელიც აუშერელი სისასტიკით გაუსწორდა თავის მევიღრ შეილთ, პომპეის მშვიდობის მცხოვრებით...

ეს მოხდა 1860 წლის წინათ, 79 წლის 23 აგვისტოს. ამ კატასტროფის დროს დაიღუბა აგრეთვე ბუნების ცნობილი მკაფეები პლინიუსი უფროსი (23—79). ჩვენამდის მოლწულია მისი უკანასკნელი ძმისწულის გაი პლინიუსის—უმცროსის (62—114) ორი წერილი. ეს წერილები მიწერილია რომაელისტორიკოს კვესტორთან (სახელმწიფოს მთავრის ხაზინადართან).

პირველ წერილში პლინიუს—უმცროსმა აღწერა ახლობელის გაღმოცემით, თავისი ბიძის სიკედილი, მეორეში კი აღწერა ის, რისი მოწამეც თვითონ იყო. აი იმის წერილის შინაარსი:

„კვესტორს კორნელი ტაციტს, რომში.

შენ მთხოვ დაწვრილებით მოგწერო ბიძის სიკედილის შესახებ.

ჩვენ მშვიდად ვცხოვრობდით მიცენაში, ბიძა, როგორც რომის ფლოტის აღმირალი, გემებთან უნდა ყოფილიყო, გემები კი მიცენის ნაესადგურში იდგა.

იმ დღეს, 23 აგვისტოს, ბიძა მეცადინეობდა, კაბინეტში იწვა, მე მის გვერდით ვიყავი. ამ დროს შემოვიდა დედაქემი, რომელმაც ვეზუვისა და შორეული მთებისაკენ მიგვახდა.

არაჩვეულებრივი ღრუბელი იდგა მთებზე.

ჩვენ ავედით მახლობელ ბორცვზე: იქიდან მთების მთელი ხაზი ჩანდა. საოცარი ღრუბელი ჩვენს თვალშინ იზრდებოდა. იგი ხეს წააგავდა: მაღალი სწორი ღრეობები იყო ამართული, მისი წვერო კი იშლებოდა, თითქოს მრავალი ტოტი იყო.

ბორცვიდან ნათლად ჩანდა, რომ ეს ბოლო ვულკანის ყელიდან ამოდიოდა. ბიძა არაჩვეულებრივად იყო დაინტერესებული, მას უნდოდა თვალყური ედევნებინა ვულკანის ამოფრქვევისათვის ახლოდან და ბრძანა მოეცვანათ მსუბუქი გემი.

ის იყო მოემზადა, რომ ამ დროს მონამ მოუტანა წერილი ქალაქ რეტინის გარნიზონის უფროსისაგან თხოვნით, რომ მას გაეგზავნა ფლოტი მცხოვრებთა და ჯარისკაცთა გადასარჩენად.

რეტინიდან გადარჩენა მხოლოდ ზღვით შეიძლებოდა.

ბიძამ ბრძანა დაუყოვნებლივ აეშვათ გემებზე იალქნები და თვითონ გაუძღვა ესკადრას. ისინი

თავის დროზე მივიღნენ, გაღაბარჩინეს] გარნიზონი და მხარევალი მცხოვრები.

ბიძას აუცილებლად უნდოდა რაც შეიძლება ახლო მისულიყო ვულკანის მოქმედების აღილთან; შენ იცნობ მის გატაცებას გამოკვლევით, მაგრამ ნაპირიდან მისვლა ვულკანთან უკვე უაზრობა იყო: ზღვა ღურდა, როგორც წყალი ქვაბში. ფერფლი და ცხელი ქვები ეცემოდა გემებზე. შტურმანი ურჩევდა დაბრუნებას, მაგრამ ბიძას არ უნდოდა. მას გახსენდა, რომ მისი მეგობრის, პომპონის, აგარაკი იმყოფებოდა სტაბიაში, ახლა უკვე დაღუპულში, უბის განაპირობას.

პომპონისა და მის სახლობას უკვე გამოეტანათ სახლიდან აუცილებელი ავეჯი და შეშინებულნი დაბნეულნი ისხდნენ ნაპირზე.

ბიძა ყველას არწმუნებდა დამშვიდებულიყვნენ და დაბრუნებულიყვნენ შინ. მან სთხოვა მოემზადებინათ მისთვის აბაზანა, ტანთ დაიბანა და სადოლობისას გამოვიდა.

ვულკანიდან კი, სხვათა შორის, ცეცხლმა დაიწყო ფრქვევა. ვერავინ ვერ გაბედა დაიძინება, მხოლოდ ბიძამ დაიძინა წყნარად და მაგრად. მაგრამ ჩქარა საჭირო გახდა მისი გაღვიძება. ფერფლი ისე ცვიოდა, რომ შეგვეშინდა არ ამოეცსო სახლიდან გასასვლელები.

მიწისძრა გაძლიერდა. სახლს აქანავებდა ერთი მხრიდან მეორე მხარეს. საშიში იყო მისი მიტოვება: ჟურებში ცვიოდა თხელი ფერფლი და ქვები. თავზე ყველამ ბალიში მოიბა.

როდესაც გამოვედით ზღვის პირას, ბიძა უცებდასწლა და სული შეეხუთა; მან ითხოვა იგი ხალიჩაზე დაეწვინათ.

ვულკანიდან წამოვიდა ღავა ცეცხლოფან მდინარეებად, ხოლო წინ მოგროვდა კვამლი, რომელიც სავსე იყო გოგირდოვანი ანაორთქლით.

საჭირო იყო გაქცევა. როდესაც მონებმა ასწიერ ბიძა, იგი უსულოდ დაეცა ხალიჩაზე: შხამიანმა კვამლმა დაახრის იგი.

მხოლოდ მესამე დღეს შევძელით მისი გვამის მონახება. იგი წყნარად იწვა ხალიჩაზე და გეგონებოდათ კი არ მომკვდარა, არამედ დაეძინაო.

...შენ მეკითხები, თუ როგორ გადავიტანეთ მე და დედამ ეს საშინელი კატასტროფა.

ჩვენ აქ მივეჩიით მიწისძრებს, მაგრამ ამ ღამეს ბიძები იმდენად ძლიერი იყო, რომ მე მეშინოდა კედლები არ გადმონგრეულიყო...



ლამით ეზოში გამოვედით.


არ ვიცი, რას მივაწერონ ეს—ჩემს უშიშროებას თუ მოუფიქრებლობას, მე დავიწყე ტიტ ლივიუსის კითხვა და ამნაწერებს ვაკეთებდი.

დილა დადგა, მაგრამ არ თენდებოდა. სახლებმა უცებ ისეთი ქანაობა დაიწყო, გეგონებოდათ, ჩვენ სუსყველას გაგჰჲულეტლნენ. მაშინ გადავწყვიტეთ ქალაქის მიტოვება, მცხოვრებნი დარბოდნენ ჩვენს გარშემო, როგორც ცხერის ფარა.

გავცილდით რა ქალაქს, შევჩერდით. გარშემო რაღაც არაჩვეულებრივი რამ ხდებოდა, ჩვენი ეტლები წინ და უკან მოძრაობდნენ; ტყუილუბრალოდ უდებდნენ მათ ბორბლებში ქვებს: მათი შეჩერება ზეუძღებელი იყო.

ზღვამ უცებ დაიწყო ნაპირიდან გადმოსცლა: და ზღვის ფსკერი გაშიშვლდა; ქვიშაზე მრავალი ზღვის ცხოველი ფუთფუთებდა.

გულგანის თავზე ღრუბლები უზარმაზარი გახდა. საშინელი ჭახანი გაისმოდა. მთელ პირიზონტზე იფეთქეს ალის ცეცხლოვანმა ენებმა. ცხელი ორთქლი გროვდებოდა ჭაერში. დაიწყო ფერფლოვანი წვიმა.



უცებ ისე დაბნელდა, როგორც არ დაბნელებულა ყველაზე ბნელ ღამეს...

დაიწყო ქაოსი: მამაკაცების ყვირილი, ქალების მოთქმა, გოდება, ბავშვების ტირილი. ვინ ბაეშვი დაკარგა, ვინ მშობლებიც; ცოლი ქმარს დაექებს, ქმარმა ვერ ნახა ცოლი. მრავალი სიკვდილს უძახდა; ზოგიერთები ლოცულობდნენ, სხვები კი ყვიროდნენ, რომ ღმერთები აღარ არსებოდენ და მსოფლიოს აღსასრული დაღგა.

ფერფლის წვიმა ისეთი სქელი და ძლიერი იყო, რომ ჩვენ ყოველ წუთს ვდგებოდით და ვგერტყავდით, წინააღმდეგ შემთხვევაში ფერფლი დაგვთარავდა.

ბოლოს, დღის სინათლემ გაარღვია ბურუსი და კვარლი, ცაზე გამოჩნდა მზე, ბუნდოვანი და გაურკვეველი, როგორც მზის დაბნელების დროს.

ყველაფერი გარშემო დაფარული იყო ფერფლის გროვებით. როდესაც საშიშროება აღარ იყო, გაიპლინიუსი—უმცროსი თავისი დედით მშეიდობიანად დაბრუნდა ქ. მიზნაში.

მას შემდეგ, რაც გაი პლინიუსი—უმცროსი წერდა ამ წერილს, განველ 1860 წელმა. 79 წელს მოხდა ვეზუვის ეს საზარელი ამოხეთქვა, როდესაც ფერფლმა და ლავამ დაფარა ქალაქები: პომპეა, სტაბია, პერკულანუმი, იპლონტი, ტაგორონია და ვეზერისი, როდესაც ფერფლი აღწევდა ხელთაშუა ზღვის მეორე ნაპირს: ეგვიპტესა და სირიას.

სამი დღის შემდეგ, როდესაც ვეზუვი დაწყნარდა, ყველა მინდორი მშენებირი ბალები, ფორთოხლებისა და ზეთისხილის ჭალები საფე იყო ფერფლისა და გაცივებული ლავის გროვებით, რომლის ქვეშაც დაიმარხა აყვავებული მშეიდობიანი სოფლები, საუცხოო ქალაქები და მარმარილოს კოხტა ვილები.

გამოკვლევებითა და გათხრებით დადასტურდა რომ კატასტროფა მცხოვრებლებისათვის სავსებით მოულოდნელი იყო. XVI საუკუნემდის უცნობი იყო პომპეის ადგილი. სისტემატური გათხრები მეცნიერული მიზნით დაიწყო მხოლოდ XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ბოლოს.

დღიდი წარმატებით მიმდინარეობდა გათხრები განსაკუთრებით 1799 წლიდან 1814 წლამდის,

ნეაპოლში ფრანგების ბატონობის დროს. ამჟამად გათხრილია თითქმის მთლიანად ფორუმი (ქალაქის მოედანი). თეატრები, და ფერმები (აბანოები) ციხე, ყაზარმები, მაღაზიები, ღუქნები და მრავალი მდიდარი კერძო სახლი.

სახლები პომპეაში ორ და სამსართულიანია. მათი კედლები, შიგნიდან და გარედან მოხ ტულია ფერებით, უფრო ხშარად წითელი ფერით.

იმ ფერების შემადგენლობა, რომლებითაც მოხატულია პომპეის ფრესკები (კედლის ნახატები), უცნობია.

ერთი რამ ცნობილია, რომ ეს საღებავები უფრო გაძლიერ, ვიდრე თანამედროვე საღებავები. პომპეის ფერწერამ 18 საუკუნეს გაუძლო და ეს საღებავები ახლაც იმდენად ნათელია, რომ გეგონებათ ისინი I-ლ საუკუნეში კი არა, XX საუკუნეშია მოხატული.

გათხრების დროს ნაპოვნია მხოლოდ 2.000-მდის ადამიანის ჩინჩხის. ნეაპოლიდან პომპეამდის ნახევარი საათის საეალია ტრამვაით. მოგზაურები ყოველი კუთხიდან დადიან ვიწრო ქუჩებში, შედიან საბლებში, მოედნებსა და ქუჩებში—ყველგანაა კვალი უეცრად შეწყვეტილი სიცოცხლისა.


რკინისგზა მიღის თითქმის კრატერამდის. ვეზუვი კელავ ბოლავს და აფრევევს ცეცხლს, ის ვეზუვი, რომელმაც 18 საუკუნის წინათ უმოწყალოდ, ცოცხლოდ დაასამარა პომპეა...

# კ რ უ ს 3 მ რ ლ ი

შეადგინეს თბილისის მე-18 სკოლის მოსწავლეებშია  
რ. გალაძემ და ზ. მანჯავიძემ

## ს ი 8 ყ 3 ე ბ ი კორიზონგარება

2. პლანეტა.
4. პირველი არალევალური ბოლშევიკური გაზეთი.
7. გარეული ცხოველი.
8. სათამაშო.
9. აღმოსავლური ხალხური. მუსიკალური ინსტრუმენტი.
11. რიცხვი.
14. სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები.
17. ქართველი დრამატურგი, სსრკ. უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.
20. საწვავი ნივთიერება.
21. ნავსადგური შავი ზღვის სანაპიროზე.
24. თვითმფრინავის დასაფრენ-ასაფრენი ადგილი.
26. თვე.
28. ქიმიური მომწამლავი ნივთიერება.
30. ფრანგი დრამატურგი, „სკაპენის იონების“ ავტორი.
31. ქოშკი პარიზში.
32. ცნობილი საბჭოთა კინო-მსახიობი ქალი.



## ს ი 8 ყ 3 ე ბ ი ვებგიკერება

1. მოწინავე, გზის გამკაფავი.
2. სასპორტო შეჯიბრება.
3. კურორტი შავი ზღვის სანაპიროზე.
5. ჯარების ხელმძღვანელი.
6. რევოლუციონერ მუშათა დამხმარე საზოგადოება.
10. სსრკ. გმირი, მფრინავი ქალი.
12. ა. შ. ჟ. სამფლობელო.
13. საბერძნეთის გამოჩენილი მათემატიკოსი.
15. დროს მაჩვენებელი ხელ-საწყო.
16. დადებითი ელექტროდი.
18. ინგლისის დომინიონი ჩრდ. ამერიკაში.
19. „ვეფხვის ტყაოსნის“ გმირი ქალი.
22. საკავშირო პიონერული ბანაკი ყირიმში.
23. ქალაქი აფხაზეთში.
25. გამოჩენილი ინგლისელი ბიოლოგი.
27. გამოჩენილი ფრანგი ბაქტერიოლოგი.
29. გერმანიის ქომუნისტური პარტიის ბელადი.